# ფანტაზია

№ 9 (80) 1998

13-19 აპრილი 1998 | ი/ს „ფანტაზიის“ შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 20 თეთრი


## ისტორიის შავ-თეთრი უჯრები

### მეოთხე ნაწილი — განმანათლებლობის ეპოქა



2



5



26





29



32



37

**თარაზულად:** **10**. 1789-94 წწ. საფრანგეთის მოვლენათა მონაწილეების მოსახსენიებელი სახელი. **11**. დასაჯილდოებელი ინვენტარი. **12**. ინგლისელი დიდგვაროვანი მდედრი. **13**. ევროპელი ისტორიკოსებისათვის (...და ჩვენი შოპ-ტურისტებისათვის!) კარგად ცნობილი ტიპიური აღმოსავლური ქალაქი. **14**. შვ.№28-ის შორეული მემკვიდრე იმპერიის მართვის დარგში. **15**. ფრანგი გრაფი, სახელად — ონორე გაბრიელ რიკეტი... 1789-94 წწ. მოღვაწე... გვარად — ? **16**. ლონდონელი პატიმრებისათვის კარგად ცნობილი საპყრობილე. **17**. როგორი ქალი იყო პეტრე პირველის ქალიშვილი... საოჯახო ტერმინოლოგიის გათვალისწინებით? **19**. პარიზელი პატიმრებისათვის კარგად ცნობილი საპყრობილე. **21**. მარსელელი პატიმრებისათვის კარგად ცნობილი საპყრობილე. **22**. კაზინოების „სტუმართმოყვარე“ მასპინძელი. **23**. არისტოკრატ გერმანელთა გვარების წინსართი. **25**. თავლების ცნობილი მეპატრონე ძვ.საბერძნეთში. **26**. ინგლისელი დრამატურგის, ბენ ჯონსონის (1537-1673) ე.წ. ზნეობათა კომედია. **29**. **იხილეთ ილუსტრაცია** და... შეეცადეთ ამოიცნოთ ეს პიროვნება! **31**. (ცოტა ხანს გადმოვერთოთ დღევანდელობაში) ტიპიური კომპიუტერული ცნება. **33**. „ჯიუტის“ ცხოველური სინონიმი. **34**. ევროპული განწესების ნახევარკუნძული. **35**. რუსული (ნოვგოროდული) ბილინების გმირი. **39**. შესანიშნავი ქართველი ლიტერატორი, მთარგმნელი, კრიტიკოსი. **40**. რა აერთიანებს ჩვენს სულხან-საბას და ფრანგ ლაფონტენს (1621-95)? **41**. ვინ იყო ანტიკური ხანის ყოველი მოღვაწე განმანათლებლობის ეპოქის წარმომადგენელთათვის. **42**. შვეული № 26-ის ფილოსოფიურ-ზნეობრივი ნაწარმოები. **44**. ანგლიკანური ეკლესიის ერთ-ერთი მოძღვრება. **47**. აშშ-ს ერთ-ერთი პრეზიდენტი.... XX საუკუნეში. **49**. რა ეროვნებისაა თარაზული №29? **51**. როგორი ფული იყო ფრანგული სუ აღნიშნულ ეპოქაში? **52**. როგორი მოთხრობები დაწერა ჯეფრი ჩოსერმა?



28

**შვეულად:** **1**. ამაღლებული ტონი. **2**. **იხილეთ ილუსტრაცია** და... გაიხსენეთ ამ პიროვნებასთან „დაკავშირებული“ ცხენი. **3**. (მუსიე) დე ბერჟერაკი... დიდცხვირა ფრანგი. **4**. რა იყო შექსპირის პიესები ლონდონის თეატრ „გლობუსისათვის? **5**. **იხილეთ ილუსტრაცია** და გაიხსენეთ... რა მოვლენაა დაკავშირებული ამ კაცთან საფრანგეთის 1789-94 წწ. მოვლენებიდან. **6** XVI ს. ინგლისელი ფიზიკოსი, მაგნიტური მოვლენების შემსწავლელი. **7**. „ამ გაუგებრო- ბაში“გაუგებრად მოხვედრილი აზიის სახელმწიფო... **8**. ...მაინც როგორი კაცი იყო კასიო ოტელოსა და დეზდემონას შორის გათამაშებულ ტრაგედიაში? **9**. ჰიუგოს მიერ აღწერილი ძველი პარიზის ერთ-ერთი უბანი. **18**. თავის კანი თმებიანად, რომელსაც ველური ტომები დამარცხებულ მტერს აძრობდნენ. **20**. ასე ვთქვათ, ზოგადად „ლაქიების“ საფორმო სამოსი. **24**. (რუსი) ივანე მრისხანეს მიერ გატარებული რეფორმის სახესხვაობა. **26**. **იხილეთ ილუსტრაცია** და... შეეცადეთ ამოიცნოთ ეს პიროვნება. **27**. როგორი ქალი იყო XVIII ს. რუს მწერალ კარამზინის ნაწარმოების, „**Бедная Лиза**“-ს მთ. პერსონაჟი? **28**. **იხილეთ ილუსტრაცია** და... გაიხსენეთ ამ კაცის ტიტული. **30**. რა იყო XVIII საუკუნის ცხოვრება დღევანდელობასთან შედარებით (ირონიის გათვალისწინებით)? **32**. **იხილეთ ილუსტრაცია** და... შეეცადეთ ამ პიროვნების ამოცნობა. **36**. სადაურია თითოეული ის ადამიანი, რომლის სამშობლო ამერიკის აღმომჩენის სახელს ატარებს? **37**. **იხილეთ ილუსტრაცია** და... შეეცადეთ ამოიცნოთ ამ კომპოზიტორის ვინაობა. **38**. (მუსიე) რონსარი... XVI ს. ფრანგი პოეტი. **43**. ფრანგი ფერმწერი, ჟაკ ლუი...ვინ? (1748-1825) **45**. რომელი პერსონაჟი ჰყავთ საერთო მოცარტს, ბომარშეს და როსინის? **46**. ძველი ინგლისური ფული. **48**. სიტყვა, რომელიც უცილობელ ქმედებას გამოხატავს. **50**. ...რა იყო „ისტორიის შავ-თეთრი უჯრების“ შექმნა მისი ავტორისათვის საქმის რეალურ ხორცშესხმამდე?

## რა არის თქვენთვის ფანტაზია (...თუნდაც ოცნება)?

*ფსიქოლოგიური ტესტი*



№ 1



№ 2



№ 3



№ 4

***1. დახედეთ №1 სურათს და ივარაუდეთ — რა ფანტაზია (...თუნდაც ოცნება) აწუხებს ამ ქალბატონს...***

**ა**) რეალურ სატრფოსთან ყოფნისა... (3 ქულა)
**ბ**) ოცნების რაინდის მოძიებისა (6 ქულა)
**გ**) ძვირფასი ქურქის შეძენისა? (0 ქულა)

***2. რა ურთიერთობა გაქვთ სიზმრებთან?***

**ა**) ყოველღამ ელით, მაგრამ ხშირად ვერ ნახულობთ (3)
**ბ**) მათი არსებობა არც კი გახსოვთ (0)
**გ**) თავი მოგაბეზრეს მათმა ვიზიტებმა... ყოველღამ და ყოველი თვლემისას (6)

***3. მიგაჩნიათ თუ არა გამართლებულად „სიყვარულის დღის“ არსებობა?***

**ა**) აჯობებდა, რომ „მეგობრობის დღე“ დაწესებულიყო... ოფიციალურად! (3)
**ბ**) რა დროს სიყვარულია ამ გაგანია გაჭირვებაში? (0)
**გ**) ნეტავ ყოველი დღე სიყვარულისა იყოს (ბიჭოს?! - რედ.) (6)

***4. თქვენს განვლილ ცხოვრებას (...პირადს!) როგორ შეაფასებდით?***

**ა**) ბედნიერება წვეთ-წვეთად (ე.წ. „პიპეტკით“) მოგეწოდებოდათ (6)
**ბ**) სიმღერის პერიფრაზირებით — „რაც ვინატრე ყველაფერი ახდა...“ (3)
**გ**) ზოგჯერ გაიფიქრებთ ხოლმე — „ნეტავ საერთოდ არ მეცხოვრაო!“ (0)

***5. თუ საკუთარმა ფანტაზიამ (...თუნდაც ოცნებამ) გიმტყუნათ, მიაკითხავდით თუ არა, მოდერნიზებულად რომ ვთქვათ, ექსტრა-სენსს (მკითხავს, რა!)***

**ა**) ამ ვარიანტს არ გამორიცხავთ საკუთარი კაპრიზებისათვის (3)
**ბ**) ...წავიდნენ! — მაგათი ესე და ისე... (0)
**გ**) აუცილებლად! აბა, სხვა რა ვქნა?! (6)

***6. თქვენი საყვარელი ან აკვიატებული ფრაზა?***

**ა**) „მოთმინებითა შენითაო...“ (3)
**ბ**) „თუ არა გყავს მოახლე, თავი მოიმოახლე“ (0)
**გ**) „სიყვარული აფრენილი ორბია, თუ დაგეცა, ატომური ბომბია“ (6)

***7. ენდობით თუ არა ასტროლოგებს (მათ რუსთველი ასე მოიხსენიებს — „მუყრნი და მულიმნი“)***

**ა**) მათი რჩევები ფრიად და ერთობ ყურადსაღებია (3)
**ბ**) აბა, რა უნდა გითხრან მათ თქვენ ისეთი, რასაც თავად ვერ განჭვრეტთ და გაისიგრძეგანებთ (რა კარგი სიტყვაა, არა! — რედ.) (0)
**გ**) ვკითხულობ და ვითვალისწინებ ყველა ჰოროსკოპს... ისეთებსაც კი 10 თეთრიან გაზეთებში რომ იბეჭდება (6)

***8. ყოველ ახლად დამდგარ წელს ფიქრობთ, რომ — ჰა და ჰა! — ახლა მაინც...***

**ა**) გესტუმრებათ დიდი და ნამდვილი, თუნდაც ბალზაკისეული, სიყვარული (6)
**ბ**) მოახტებით (ფინანსური) წარმატებების რაშს (ღმერთმა ხელი მოგიმართოთ — რედ.) (0)
**გ**) ანგარიშს გაასწორებთ ყველასთან... ბედისწერასთანაც კი! (3)

***9. ვთქვათ და, უცებ, ერთ საღამოს (მარტო) თქვენს ტელევიზორში, ქრისთლი-ელექსისების და ბარბარა-ხუანიტების ნაცვლად, კეთილი ჯადოქარი გამოგეცხადათ, რომელი ერთი სურვილის ასრულებას ირჩევდით:***

**ა**) ...რომ „საოჯახო ლოტოში“ ჯეკ-პოტი მოიგოთ (თანხას მნიშვნელობა არა აქვს!) (3)
**ბ**) ...რომ ის არსება „ჩაგახუტათ“ (ფართო გაგებით), რომელსაც, იეთიმ გურჯის თქმით, „ქვის გული აქვს, ხის ჯიგარი“ (6)
**გ**) ერთი სრული დღე გაატაროთ №2 ფოტოზე გამოსახულ ქალთან (მამაკაცებო, თქვენ მოგმართავთ!) ან №3 ფოტოზე გამოსახულ მამაკაცთან (ქალებს ვგულისხმობთ) (0)

***10. ჩამოთვლილთაგან რომელი ოცნება მიგაჩნიათ ფანტაზიის ავადმყოფურ გამოვლინებად (ბარემ №4 ფოტოც იხილეთ)?***

**ა**) (ვინმე) ჯექსონის მაგვართან ერთად მღერიხართ დუეტში (3)
**ბ**) თავად ხართ (ვინმე) ჯექსონის მაგვარი (6)
**გ**) (ვინმე) ჯექსონის მაგვარის პროდიუსერი ხართ (0)

**0-21** ქულა: თქვენ იმდენად „მყარად დგახართ! ღდამიწაზე, რომ ფანტაზია, როგორც ასეთი (...და ისეთიც) თქვენთვის მხოლოდ რვა ბგერის ერთობლიობაა და სხვა არაფერი; სხვათა შორის, ჩვენს შორის დარჩეს და თქვენ იმდენად პრაქტიკული და რეალისტი პიროვნება ხართ, რომ ხანდახან თავადვე გშურთ საკუთარი თავისა.. თქვენ პრაქტიკულად ყველა სურვილის ასრულება შეგიძლიათ, რადგან ეს სურვილები არანაირ ზებუნებრივ ძალებთან დაკავშირებული არ არის. როგორც რუსები იტყვიან — **Так держать!** — მაგრამ გააჩნია **Что держать?**

**22-42** ქულა: ფანტაზიორობას ვერავინ დაგიწუნებთ, მაგრამ თქვენთვის აქაც მთავარია ზომიერება და მხოლოდ ზომიერება! თქვენ ერთი ფრიად „ცხოვრებისეული“ თვისება გაგაჩნიათ — იმავე რუსების თქმით: **Так держать!** — მაგრამ გააჩნია **Как держать?**; სხვათა შორის, ჩვენს შორის დარჩეს და ჩუმ-ჩუმად თვით ყველაზე ავადმყოფური წარმოსახვანიც გაწუხებთ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ ჩუმ-ჩუმად...

**43-60** ქულა: აბა, რა გითხრათ — თქვენ იმდენს დაცურავთ ფანტაზიის ოკეანეში, რომ აფრები მთლად დაგეფლითათ, ნიჩბების მოსმას კი არ კადრულობთ... ცოტა აქეთაც გამოიხედეთ, ნუ გგონიათ, რომ ფანტაზია მარტო „ფანტვაზეა“; ხომ გახსოვთ — ბოლოს კნიაზი ფანტიაშვილიც კი დაცხრა და რეალობას შეეგუა.. სხვათა შორის, ჩვენს შორის დარჩეს და თქვენ ის ადამიანი ხართ, ვინც ჭეშმარიტი ბედნიერების განცდის გამუდმებული შანსით ცხოვრობს, რადგან წარმოსახულის სულ მცირედი განამდვილებაც კი საოცარ სიამოვნებას განიჭებთ. სხვა რა გითხრათ — **Так держать!** —**Держать**-მეთქი!

*და ბოლოს: რას ფიქრობთ „ფანტაზიაზე“?*


შევიძენთ პოლიგრაფიული საქმიანობისათვის გამოსადეგ ახალ ან ნახმარ პრინტერს. 77-64-80

**1923 წლის დასაწყისში მთელ მსოფლიოს სენსაციური ცნობა მოედო: ექსპედიციამ ლორდ კარნარვონისა და არქეოლოგ ჰოვარდ კარტერის ხელმძღვანელობით ეგვიპტის „მეფეთა ველზე" ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამა აღმოაჩინა. დასაკრძალ კამერაში მკვლევარებმა ზღაპრულ განძს და თვით ფარაონის მუმიას მიაკვლიეს... ეს მოხდა 17 თებერვალს.**




...ამ აღმოჩენის შემდეგ მსოფლიო პრესის ფურცლები ნაპოვნი განძის ჩამონათვალით და აღწერილობით იყო აჭრელებული და მხოლოდ ერთ რელიქვიაზე არ იყო არაფერი თქმული, ეს გახლდათ თიხის ფირფიტა საიდუმლო წარწერით – „სიკვდილი ფრთას გაშლის მასზე, ვინც ფარაონის მყუდროებას დაარღვევს." ამ ფირფიტას უბრალოდ ყურადღება არ მიაქციეს და, როგორც აღმოჩნდა, ძალზედ შეცდნენ.

გავიდა თვენახევარი და აპრილის დასაწყისში უცნობი დაავადებით მოულოდნელად გარდაიცვალა ლორდი კარნარვონი. რამდენიმე თვის შემდეგ აღესრულა არქეოლოგი არტურ მეისი, რომელიც პირველი შეეხო სამარის ამოქოლილ შესასვლელს. ასევე მალე გარდაიცვალა ექსპედიციის სხვა წევრი, რენტგენოლოგი არჩიბალდ რეიდიც, რომელიც ასევე ხელით შეეხო აღმოჩენილ მუმიას. სამივე გარდაცვლილის სიმპტომები ერთგვარი იყო: ძალღონის გამოლევა, ციებცხელების შეტევები და ბოლოს გონის დაკარგვა.

მედიკოსები მხოლოდ ხელებს ასავსავებდნენ და ვერანაირად აეხსნათ დაავადების სწრაფი დინება, რასაც უცილობელი სიკვდილი მოსდევდა. აი, სწორედ მაშინ გაიხსენეს ის თიხის ფირფიტა, მრისხანე გაფრთხილებით... პრესა ისევ აჭრელდა შემაძრწუნებელი სტატიებით, რომლებშიც ერთი აზრი ფიგურირებდა – მკაცრი სასჯელი ფარაონის მარადიული ძილის მყუდროების დარღვევის შედეგიაო და ამ ფაქტს შესაფერისი სახელიც შეურჩიეს – „ფარაონების წყევლა".

შურისგება მართლაც შეუჩერებელი პროცესი აღმოჩნდა, ერთმანეთის მიყოლებით იღუპებოდნენ ექსპედიციის წევრები. 1929 წლისათვის უკვე 29 კაცი იყო გარდაცვლილი, რომელთაგან 17 უშუალოდ შეეხო ფარაონის მუმიას. ამავე პერიოდში იმ ადამიანების კიდევ რამოდენიმე გამოუცნობი სიკვდილის ფაქტი დადასტურდა, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ძველეგვიპტურ სამარხებში აღმოჩენილ სხვა მუმიებსა თუ ამა თუ იმ ნივთებს იკვლევდნენ და ამ საგნებთან უშუალო ფიზიკური კონტაქტი ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ სხვა სამარხებშიც ნახულობდნენ უცნაურ ფირფიტებს, რომელთა შინაარსი, შესაძლოა, არცთუ მრისხანედ ჟღერდა, მაგრამ რაღაც გამაფრთხილებელ ტექსტს მაინც შეიცავდა; ასე მაგალითად: ერთ ფირფიტაზე ეწერა – „მიცვლებულის სული ისე მოუგრეხს კისერს სამარხის ქურდს, როგორც ქეციან ბატს."

...ახლა მცირე ხნით თავი ვანებოთ ძველ ეგვიპტეს და ჩვენს ეპოქაში გადმოვინაცვლოთ. სტალინის ხელმძღვანელობის წლებში ყველაზე საშინელ ციხედ მოსკოვის განაპირას მდებარე „სუხანოვკა" ითვლებოდა. იქ „ლუბიანკიდან" ამწესებდნენ ყველაზე ურჩ და ჯიუტ პიროვნებებს, რომელნიც ჯიქურ უარყოფდნენ საკუთარ დანაშაულს. „სუხანოვკის" ულმობელი რეჟიმი არცთუ იშვიათად ყველაზე უდრეკი პატიმრის ნებისყოფასაც ტეხდა; ამ ციხეს პირადად კურირებდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამმართველოს უფროსი ა.რაძივილოვსკი.

1937 წლის აპრილში ეს პიროვნება საშინლად შეაშფოთა ერთმა პატაკმა, რომელიც ძიებაში მყოფი 47 პირის სიკვდილს იუწყებოდა. „სუხანოვკაში" პატიმრის სიკვდილი უცხო ხილი არ გახლდათ, იქაურ წამებასა და ცემას მრავალი ადამიანი ეწირებოდა, მაგრამ პატაკში ფიგურირებდა გვარი ერთი ყოფილი ჩინოვნიკისა, რომელიც მნიშვნელოვანი მოწმე უნდა ყოფილიყო შსს ყოფილი კომისრის, ჰენრიხ იაგოდას „დანაშაულებრივი კავშირების" საქმის განხილვისას.

...სასტიკად განრისხებულმა შსს კომისრის მოადგილემ მ.ფრინოვსკიმ განკარგულება გასცა ამ ფაქტის ძირფესვიანად შესასწავლად და იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც ხსენებული ჩინოვნიკის მკვლელობით (როგორც ეგონათ) „ხალხის მტრებს" დაეხმარნენ, რომ სასჯელისაგან თავი დაეხსნათ.

ბევრს ეცადნენ გამომძიებლები, მაგრამ მაინც ვერ გამოავლინეს ამ სიკვდილის რაიმე „უცნაურობა", ყველაფერი ჩვეულებრივ მოხდა: გულის უკმარისობა, მწვავე პნევმონია, დაუძლურება-გამოფიტვა და მეტი არაფერი... პათოლოგიურ-ანატომიურმა ექსპერტიზამაც ვერანაირი მოწამვლის ფაქტი ვერ დაადგინა. მართალია, ყველამ იცოდა, რომ „სუხანოვკის" ბინადრებს ნახევრად უმი ქერის სალაფავით კვებავდნენ და ამ ქერს ბნელ, ნესტიან სარდაფში ინახავდნენ, მაგრამ ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია; უბრალოდ ორი მზარეული დაადანაშაულეს, რომლებმაც თითქოსდა საჭმელში დარიშხანი გაურიეს...

ახლა მცირე ხნით კიდევ წამოვიწიოთ: 60-იან წლებში საბჭოთა იმპერიის სამ რესპუბლიკაში – რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში – მიწაში ღრმად განლაგებული სამეთაურო პუნქტების მქონე კოსმოდრომების მშენებლობა დაიწყეს. ამ ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, რეგიონის მიუხედავად, იქ ყველგან მსგავსი და უცნაური დაავადება დაფიქსირდა იმ მომსახურე პერსონალს შორის, რომლებიც ბუნკერში სამორიგეოდ ერთკვირიანი ვადით ჩადიოდნენ. ჩასვლიდან ორი-სამი დღის შემდეგ მათ ტემპერატურა უწევდათ, ეწყებოდათ ციებცხელება და თავის ძლიერი ტკივილი. ხელმძღვანელობა იძულებული ხდებოდა მთელი სამორიგეო შემადგენლობა შეეცვალა, მაგრამ ახალ შემადგენლობასაც მცირე ხანში იგივე ემართებოდა. საექიმო შემოწმება ვერაფერს ადგენდა... ზემოთ, ჩვეულებრივ პირობებში ისინი სრულიად ჯანმრთელნი იყვნენ და დაავადების სიმპტომთა ნიშან-წყალიც კი არ გააჩნდათ.

მთავრობამ საგანგებო და საიდუმლო კომისია შექმნა ამ ფაქტის გამოსარკვევად. ბუნკერში ჰაერის, წყლის, საკვები პროდუქტების სინჯები იქნა აღებული, მაგრამ უახლესი და უზუსტესი ხელსაწყოებიც უძლურნი აღმოჩნდნენ. ამიტომაც დასკვნა არაერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა: ერთნი მიზეზად რაკეტების საწვავს და წვის პროდუქტებს ასახელებდნენ, მეორენი რაღაც პოლიმერებს ადანაშაულებდნენ, მესამენი ყველაფერს პათოგენურ მიკროფლორას მიაწერდნენ. საქმეს ვერც დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ უშველა, თუმცა ის კი დაადგინეს, რომ საზღვარგარეთელ მერაკეტეებს მსგავსი დაავადება არ სჭირდათ. დადგინდა ისიც, რომ მიწისქვეშეთში ორი დღით ყოფნა ჯანმრთელობაზე არ ზემოქმედებდა და გამოსავალი იმაში ნახეს, რომ მორიგეობის ერთდღეღამიანი რეგლამენტი შეიმუშავეს. გამოცანა კი გამოცანად დარჩა...

„ფარაონების წყევლასა" და მის ანალოგიურ გამოუცნობ მოვლენებს საბოლოოდ „ფარდა აეხადა" მაშინ, როცა ყველაფრის მიზეზად მიკოტოქსინები მიიჩნიეს.

პირველი, ვინც ეჭვის თვალით შეხედა მათ, სამხრეთაფრიკელი ექიმი ჯოფრი დინი იყო. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ 1956 წლის ოქტომბერში გეოლოგი ჯონ უაილზი როდეზიის მთებში გამოქვაბულებს იკვლევდა. მას აინტერესებდა, შეიძლება თუ არა ღამურების ექსკრემენტების გამოყენება სასუქად. ექსპედიციიდან დაბრუნებულმა უაილზმა რამდენიმე დღის შემდეგ სხეულში სისუსტე იგრძნო, რასაც კუნთების ტკივილიც დაერთო. საექიმო კომისიამ არცთუ უცნაური დიაგნოზი დასვა – პნევმონია და პლევრიტი, მაგრამ მკურნალობამ არანაირი შედეგი არ გამოიღო; ამიტომაც ავადმყოფი ზემოთხსენებულ ჯოფრი დინის კლინიკაში გადაგზავნეს.

გასინჯა რა უაილზი, დინს გაახსენდა, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკელი ექიმები ანალოგიურ შემთხვევას წააწყდნენ პერუს ანდებშიც, სადაც სპელეოლოგები ინკების გამოქვაბულებს იკვლევდნენ. დინმა თავისი პაციენტის სისხლი აშშ-ში გაგზავნა და ერთმნიშვნელოვანი პასუხი მიიღო – უაილზი დაავადებული იყო ჰისტოპლაზმოზით, რომელსაც ტოქსიკური სოკოები იწვევენ, ისინი ღამურების ექსკრემენტში, ორგანულ ნარჩენებში და საერთოდ იმ გარემოში ვითარდებიან, სადაც ლპობის პროცესი მიმდინარეობს.

უაილზი ანტიბიოტიკებით გადაარჩინეს და ასე გამოითქვა ვარაუდი, რომ „ფარაონების წყევლის" მიზეზიც ჰისტოპლაზმოზი იყო, რადგან მუმიების სამარხებში საუკეთესო პირობები იქმნებოდა ტოქსიკური სოკოების ცხოველმოქმედებისათვის.

მიკოტოქსინებს საბოლოო განაჩენი კაიროს უნივერსიტეტის დოქტორმა-მიკრობიოლოგმა ეზედინ ტახამ გამოუტანა. 1963 წლის 3 ნოემბერს მან პრეს-კონფერენცია ჩაატარა, სადაც „ფარაონების წყევლის" იდუმალება ახსნა. არქეოლოგებზე და მუზეუმის მუშაკებზე მრავალწლოვანი დაკვირვების შემდეგ ამ ეგვიპტელმა მეცნიერმა ავადმყოფთა ორგანიზმში მიკროსკოპული სოკოები აღმოაჩინა, რომლებიც მიზეზი ხდებოდნენ ციებცხელებისა და სასუნთქი გზების ძლიერი ანთებისა. ეს სოკოები ავადმყოფობის აგენტთა გროვას წარმოადგენდნენ, რომელთა შორის გამოირჩეოდა Aspergillus niger – „გამოქვაბულის მიკრობი", რაც პირამიდებში, აკლდამებში და ზოგადად მიწისქვეშეთში ბინადრობს. ეს მიკრობი ამასთანავე გადამდებიც აღმოჩნდა.

უფრო გვიანდელმა გამოკვლევებმა წარმოაჩინა ტოქსიკური სოკოების სხვა არასასიამოვნო თვისებებიც. გაირკვა, რომ ისინი კარგად ვითარდებიან მარცვლეულში – ხორბალში, ქერში, სიმინდში, ბრინჯში, აგრეთვე წითელ ხიზილალაში და ნედლადშებოლილ თევზში და ა.შ. ინფიცირების პროცესი განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს ცუდად განიავებად და ნესტიან გარემოში.

საერთოდ მიკროტოქსინები მრავლადაა ბუნებაში გავრცელებული და ძალზედ დიდი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან. ამითაა განპირობებული თვით მათი და მათს მიერ წარმოქმნილი ეფექტის ამოცნობის სიძნელეც. ამასთანავე დაუდგენელია ჰაერში, წყალში და საკვებ პროდუქტებში მიკოტოქსინების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციაც. ორგანიზმის მოწამვლის გარდა მიკოტოქსინებს ძალუძთ გარკვეული დროის შემდეგ შეახსენონ ადამიანს თავი ონკოლოგიური გართულების სახით; ამიტომ ამ მიკრობებთან დაპირისპირებისა და მათს მიერ გამოწვეული უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ერთი მარტივი წესის დაცვაა აუცილებელი – არ შევინახოთ დიდხანს და არ გამოვიყენოთ საკვებად დაობებული პროდუქტები, წინააღმდეგ შემთხვევაში „ფარაონების წყევლა" შეიძლება ნებისმიერ ჩვენთაგან ეწიოს.

*მოამზადა რევაზ ტომარაძემ*
*რუსული პრესის მასალების მიხედვით*



**თარაზულად:** 1. ქართული მხატვრული ფილმი. 5. უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება. 9. ძველქართველთა პერანგი. 12. მდინარე რუსეთს ევროპულ ნაწილში. 13. ადამიანი, რომელსაც არაპროპორციულად დიდი კიდურები და სახის ძვლები აქვს. 14. მატადორი ანუ ვინ? 15. უმაღლესი რანგის სახელმწიფოებრივი წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოში. 17. მწერების სამყაროს კოლორიტული წარმომადგენელი. 20. უძველესი მართლმადიდებლური ეპარქია მახლობელ აღმოსავლეთში. 23. მსოფლიო კრივის ლეგენდა. 24. ფეხსაცმლის ნაწილი, რომელიც მალავს ფეხის ზურგს. 25. ბრმადმორწმუნე სუბიექტი. 27. იზოლირებული ბუნებრივი წყალსატევი. 28. ამერიკის კონტინენტის „მობინადრე" ხორცოვან-ფოთლიანი მაღალი მცენარე. 30. დაბა წალკის რაიონში. 32. მყუდრო და უშფოთველი ცხოვრება. 33. სახელმწიფო აზიაში. 34. პირის ღრუში მოთავსებული „საბრძოლო იარაღი". 36. ჩვ.წ.აღ.–მდე X-VIII სს. არსებული სახელმწიფო აზიაში. 38. მენდელეევის ტაბულის წარმომადგენელი. 39. ევროპელთა დიდგვაროვნული ტიტული. 40. სამგზავრო ეტლის სახესხვაობა. 42. მდინარე გერმანიაში. 45. IX-XIII სს. არსებული ფეოდალური სახელმწიფო აზიაში. 46. გახეხილი ბოსტნეულის ან ხილისაგან დამზადებული საკვები. 48. მთათა სისტემა ევროპის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 49. ფოლადის წარმოებაში ხმარებული ქიმიური ელემენტი. 51. ეგნატე ნინოშვილის ნამდვილი გვარი. 53. XIX ს. ფრანგი კომპოზიტორი. 54. მინდორში ან მდინარის პირას არსებული პატარა ტყე. 56. ქართული საბავშვო ჟურნალი. 58. თავაშვებული ქეიფი და ღრეობა. 60. მწვავე ქიმიური ნივთიერება, რომელიც მჟავასთან რეაქციაში მარილს წარმოქმნის. 61. სიმსივნის აღმნიშვნელი სპეციფიური სამედიცინო ტერმინი. 62. თხევადი ტვირთის გადასატანი გემი. 64. ყველაზე „კომუნიკაბელური" მინისტრი საქართველოში. 65. საძილე ინვენტარი. 66. სახელმწიფო აფრიკაში. 67. მდინარე საქართველოში. 69. ჭაღრაკის „სატრანსპორტო" საშუალება. 71. ერთგვარ მთიელთა სამოსახლო. 73. მწვერვალი ლენტეხის რაიონში. 77. უსუნო, უფერო, ბლანტი სითხე... ორგანული ნაერთი. 78. დიდი ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო. 80. ურმებისა და მისთანათა ქარავანი. 81. დაპყრობილი ტერიტორია. 82. მუსლიმანთა რელიგიური ლიდერი. 83. მთავარი არტერია.

**შვეულად:** 1. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში. 2. პატარა მოთხრობა. 3. თმისა და ფრჩხილების საღებავი. 4. სოფელი ონის რაიონში. 6. ერთგვარი თამაში ხის დიდი ბურთულით და ბოთლისმაგვარი ფიგურებით. 7. ადამიანი, რომელიც (*ახლა უფულოდ აღარ – რედ.*) გშველის. 8. ჩვენს რწმენას ოდესღაც თავშეწირული ჭაბუკი. 9. სა კონდიტრო ნაწარმში ხმარებული ცომისებრი მა- სა. 10. მრავალწლოვანი ტრო- პიკულსუბტროპიკული სამკ- ურნალო მცენარე. 11. ეგრეთწოდებული „მდოგვის გაზი". 16. სახელმწიფო ევროპაში. 18. რა არის გაფუჭებული (*ბევრ სხვა რამესთან ერთად – რედ.*) ჩვენს ქალაქში (*სამწუხაროდ – რედ.*) 19. წვრ- ილი ფული საფრანგეთსა და ბენილუქსის ქვეყნებში. 20. ციმბირის მხარე და მთათა სისტემა. 21. ქალაქი ციმბირში. 22. ქალაქიც, პორტიც, კუ- რორტიც... თურქეთში. 23. ყველაზე კარგი სპორტსმენი ყვ- ელა მინისტრს შორის. 26. ინერტული გაზი. 28. სიგრძის **საზომი უმცირესი ერთეული.** 29. სასულიერო პირის სამოსი 31. სოფელი ონის **რაიონში. 35 მაგარმერქნიანი ხე.** 37. ფირნიში ანუ რა? 38. XIX-XX სს. ფრანგი ფიზიკოსი. 41. განის დედაქალაქი. 43. სოფელი დუ- შეთის რაიონში. 44. მედიკოსი, რომლის ვიზიტსაც არავის ვუსურვებთ. 47. იტალიის ყველაზე „დიდი ქურა". 48. სამედიცინო ინვენტარი. 50. მიმბაძველობის სახესხვაობა. 52. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი. 53. ქალაქი როსტოვის ოლქში. 54. კონტინენტების დამნაწევრებელი წყალსატევი. 55. კახი კავსაძის კინოპერსონაჟი. 56. გულ-მკერდისა და მუცლის გამყოფი კუნთმყესოვანი ძგიდე. 57. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 59. ბავშვის მეტყველების უუნარობა ან შეზღუდვა. 63. ქიმიური ელემენტი, ლითონი. 68. გარეული მცოხნელი ცხოველი. 70. სამხრეთამერიკული წარმოშობის სალონური ცეკვა. 72. ინგლისის ისტ. მხარე. 74. მცირეალკოჰოლური სასმელი. 75. კილიანი ხორბალი. 76. სიფრიფანა ზედაპირი. 79. ჩვენი ქვეყნის ისტორიული მხარე.

შეადგინა **რევაზ ტომარაძემ**

# კროს-ჩემპიონატი

| № | ექვსი ტურის შედეგი | 3 | 4 | 5 | 6 | ძ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხაჩირაშვილი მარინე | 99 | 100 | 100 | - | 99,75 |
| 2 | ქურაძე ლიანა | 100 | 100 | 100 | 100 | 99,66 |
| 3 | გაბრიელიძე იური | 100 | 100 | 98 | 100 | 99,6 |
| 4 | ჩაჩანიძე ქეთევან | 98 | 100 | 99 | 100 | 98,83 |
| 5 | სოლიტაშვილი ზურა | 100 | 100 | 97 | - | 98,75 |
| 6 | გიგია მაია | 98 | 100 | 98 | 98 | 98,5 |
| 7 | საზანდრიშვილი ნათია | 98 | 100 | 99 | 97 | 98,5 |
| 8 | კვირიკაშვილი მირაბი | - | 100 | 95 | 100 | 98 |
| 9 | მაისურაძე მანანა | 98 | 98 | - | - | 96,5 |
| 10 | გურგენიძე ვიტალი | 96 | 95 | - | 100 | 96,25 |
| 11 | ჯახველაძე ლია | 97 | 98 | - | 97 | 96 |
| 12 | ბუძღულაშვილი მანანა | 97 | - | - | 94 | 96 |
| 13 | დანელია ლევანი | 96 | 97 | 93 | 95 | 95,25 |
| 14 | ჯღამაძე ნუნუკა | 96 | 97 | 93 | 94 | 95 |
| 15 | ცომაია გოგი | 88 | 90 | 90 | 97 | 90,5 |
| | | | | | | |
| | ზადიშვილი ანი (ქ.გარ) | 97 | - | - | 94 | 95,5 |
| | ბერიშვილი ირაკლი (ქ.გარ) | - | - | 94 | - | 94 |

მიმდინარე ჩემპიონატიც დიდი დაძაბულობით გამოირჩევა. მონაწილენი ძალზედ სერიოზულად არიან მომზადებულნი და მათთან „ჭიდილი", დიდ სირთულესთან ერთად, ჩვენთვის ერთობ სასიამოვნო და საპატიოა. შესაძლოა, არსებობს გარკვეული შენიშვნები ჩვენს მიერ დასმული კითხვების მიმართ, რასაც დიდი ინტერესით ველით ყოველთვის და ვცდილობთ მომავლისათვის გავითვალისწინოთ.

შემოდგომაზე ვაპირებთ მეოთხე ტურნირის ჩატრებას და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ ერთად სათანადო რეკლამას გავუწევთ ამ ჩემპიონატს, რათა უფრო მეტი ინტელექტუალური ძალა შემოვიკრიბოთ ჩვენი გაზეთის გარშემო.

გაგვიზიარეთ თქვენი აზრი საერთოდ საკროსვორდო ჩემპიონატების ჩატარების თაობაზე.

# გასული ნომრის პასუხები

(ნოსტალგია) *თარაზულად:* 10. მეტროპოლიტენი. 11. ქანქარა. 13. ჩემპიონატი. 14. ეზოთერიზმი. 15. ბიონდი. 16. ასუნსიონი. 17. იუტა. 18. კიწი. 19. მწირი. 20. სკაფანდრი. 23. კრონა. 24. ხარკოვი. 25. გუგუა. 29. გვერდევანიძე. 31. ცეცილია. 33. ულუ. 34. მითაიშვილი. 35. ეგუტია. 38. იოფე. 39. ბეთანია. 40. რეალისტი. 42. ამირეჯიბი. 43. მინდობილობა. 46. ოდეს. 47. თელასი. 48. სტაროვერი. *შვეულად:* 1. რეპეტიცია. 2. გრუპენფიურერი. 3. აპლოდისმენტები. 4. ელმავალი. 5. ატრიბუტიკა. 6. ენგელსი. 7. ბარელიეფი. 8. აქტივი. 9. კრემატორიუმი. 12. პოლოზკოვი. 21. ნაუტილუსი. 22. აკრედიტაცია. 26. ქველმოქმედება. 27. სამართებელი. 28. ცეცე. 30. იაშინი. 32. მითრიდატე. 36. იხტიბარი. 37. მედრესე. 39. ბეჯითი. 41. ალბერ. 44. ლევი. 45. უსი.

(ისტორიული კროსვორდი) *თარაზულად:* 10. ანჟელიკა. 11. ტალეირანი. 12. რუა. 13. ალბინოსი. 14. რესპოდენტი. 15. ასო. 16. სკალდი. 17. ვებსტერი. 20. ანდრე. 21. ოტარიდი. 22. ფშატი. 25. დრო. 26. კოლუმბი. 27. ბეთლემი. 30. კულტურა. 31. რიგოლეტო. 34. ზორო. 35. სტიმული. 36. კონკოა. 38. სიგიზმუნდი. 40. ელსინორი. 42. ჰობოი. 44. არმია. 45. ვალუა. 50. ედა. 51. ორბელიანი. 53. იფანი. 57. ანდალუსია. 58. ქრონიკული. შვეულად: 1. ანგლიკანური. 2. გენიალური. 3. ნიქოზია. 4. მარიამ სტიუარტი. 5. სტაროვერები. 6. ელისაბედი. 7. ვიკონტი. 8. ლამე. 18. რიშელიე. 19. სტამბოლი. 23. მონტესუმა. 24. რეკონკისტა. 28. ლუდოვიკო. 29. სიზიფე. 32. ჯორი. 33. ტურინი. 37. ნანდუ. 39. ნორვეგია. 41. რა. 43. ორდენი. 46. ლუი. 47. არტურ. 48. ონორე. 49. ძნელი. 52. ია. 54. ფოკა. 55. ჩაო. 56. ანა.

**კროსვორდი სატანის სამსახურში**



## ნუნუკა ჯღამაძე (ხონი)

# გამარჯობა, ფანტაზიავ!

*ეს ჩემი შენდამი პირველი წერილია, თუმცა კი გიცნობ იქიდან, „ერთფურცელა" რომ იყავი. ვისურვებ კიდევ უფრო გამრავლება-გამრავალფეროვნება-„გაფანტაზიოებას". გიგზავნი კროსვორდ-საჩუქარს და არ ვიცი, დაუთმობ თუ არა მას შენს „ბინაში" ადგილს... მე კი მაინც ვიხდი მადლობას თუნდაც იმისათვის, რომ შენი არსებობით ცოტათი მაინც გვილამაზებ ერთფეროვან ყოველდღიურობას მათ, ვისაც სულიერი სარჩო პურად გვყოფნის და თანაც ფანტაზია ხომ უდიდესი ღირებულების მქონე ღირსებაა...*

*სიტყვამ მოიტანა და „სიბრძნის საუნჯეში" ამოკითხულმა ამ გამოთქმამ მაფიქრებინა – იქნებ შენი სატიტულო გვერდი გ. ლაუბის გამოთქმამ დაამშვენოს – „ფანტაზია ისეთი რამაა, რის წარმოდგენაც ზოგიერთ ადამიანს არ შეუძლია".*

## საჩუქრად „ფანტაზიას"!

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მ | | | | |
| 1 | ფ | | | | | რ | | | | |
| 2 | ა | | | | | ა | | | | |
| 3 | ნ | | | | | ვ | | | | |
| 4 | ტ | | | | | ა | | | | |
| 5 | ა | | | | | ლ | | | | |
| 6 | (ა) | | | | | ჟ | | | | |
| 7 | ზ | | | | | ა | | | | |
| 8 | ი | | | | | მ | | | | |
| 9 | ა | | | | | ი | | | | |
| 10 | ვ | | | | | ე | | | | |
| | | | | | | რ | | | | |

1. (ვინმე) შიკლგრუბერის „საბელადო" წოდება. 2. 70-80-იანი წწ. უძლიერესი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟი. 3. ქათმის ბოლოებისაგან გაკეთებული მაგიდის პატარა ცოცხი (დიალექტ.) 4. ჩვენი „ლაფიანი" მთა. 5. სათავსო გემის ტრიუმში. 6. ცალი თვალის მცირედ მოხუჭვა (საბა). 7. ხელის პატარა, წმინდა ხერხი. 8. „ფარაონის კატა". 9. საბერძნეთის მხარე-„სამოთხე". 10. განთქმული ქრისტოფორ ბონიფატიევიჩი.

## დღეობას გილოცავთ!

ია კოხრეიძე-ბენიძეს!
ციცინო ასათიანს!
ნანული გიორხელიძეს!

კეთილი თვალები და ალალი ღიმილი,
მდიდარი სული და ერთგული გული,
ნათელი ფიქრები და უანგარო მეგობრები
არ მოკლებოდეს ბედნიერების თქვენეულ ტაძარს!...

ნუნუკა ჯღამაძე (ქ. ხონი)

## გილოცავთ!

დაბადების დღეს, 16 აპრილს ვულოცავთ
"ფანტაზიის" ერთგულ მკითხველს
მისი დაარსების დღიდან,
**ნატალია ბერიკიშვილს!**
ვუსურვებთ დიდ წარმატებებს
ცხოვრებასა და ბიზნესში!
*169-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი*

# მართკუთხა პარალელეპიპედი



შეარჩიეთ ერთი ვარიანტი **(ზემოდან ქვემოთ მარჯვნივ)**: 1. წიწვი, ბეწვი, წარბი. 3. გოგრა, განგი, მეგრე. 7. ხიდი, დოლდო, დირე. 9. ორმო, აზია, აზრი. 10. ანანური, ანადირი, ავიცენა. 11. მაქსიმუმი, დიაგონალი, პასტორალი. 14. ლევანდი, კრაიოვა, სიმინდი. 16. კლიო. ალოე, კიბე. 17. ანცი, ემმა, ოლქი. 18. ეროსი, ოფისი, არესი. 19. ალაფი, ბრიზი, კლიტე. **(ზემოდან ქვემოთ მარცხნივ)**: 1. ბადია, ბახვა, წიხლი. 2. წერო, რერო, წიდა. 4. გეზი, ნირი, ნაზი. 5. აკიდო, ენოტი, ისანი. 6. მადრიგალი, მანდოლინა, მაცხოვარი. 8. ევტერპა, ონტარიო, ინდაური. 9. არმანდო, ონეგინი, არარატი. 12. დრაჟე, მიკრო, ბაკმა. 13. ჩვილი, ფლატე, პრადო. 14. სიძე. კიჩო, ლირი. 15. იშტა, ანძა, ილფი.

**ზემოდან ქვემოთ მარჯვნივ**: 21. (მისტერ) პიგინსი; 23. საქართველოს ექს-პრემიერ-მინისტრი. 27. სცენის მილმიერი სამყარო. 28. შუა სს. ებრაელი მოაზროვნე. 30. ბერძნული ანბანის ასო. 31. ტვინში სისხლის მიმოქცევის შენელება; 32. მელანი გრიფიტის მეუღლე. 35. იარაღის „სიყვარულით" წარმოებული პოლიტიკა. 40. ძვ. თბილისელი მუსიკოსი-პოეტი. 41. წრის ნებისმიერი ორი წერტილის შემაერთებელი მონაკვეთი. 42. ქალაქი მექსიკაში. 46. თვითმმართველობა. 49. სამკურნალო დაწესებულება. 51. XIX ს. ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი. 52. ფრინველი... გარეულიც და შინაურიც. 53. საგაზეთო ცნება. 54. შუააზიური წარმოშობის რუსული ესტრადის მომღერალი. 55. ამერიკელი მოცურავე, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

**შვეულად**: 21. ვაჭრობის ღმერთი ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. 22. ხის ნორჩი ტოტები. 24. დროსტარება – ჟარგონზე. 25. იგივეა, რაც სურნელება. 26. დურგლის „შრომის პროდუქტი". 29. თეატრალური განცხადება. 30. რუკების კრებული. 33. სახელმწიფოს მიერ საქონლის იმპორტის აკრძალვა. 34. დედამიწის უმაღლესი მთათა სისტემა. 36. პეტრარკას სატრფო. 37. ციმბირის ბუნებრივი სარტყელი. 38. ინდოეთის ტრანსპორტის მუშაკი. 39. ძვ. თბილისური მუს. საკრავი. 43. მთლიანობისა ნაწილი. 44. საქართველოს ერთი რაიცენტრის ყოფილი სახელი. 45. საავარაკო ინვენტარი. 47. მაგიდის გადასაფარებელი. 48. ხალისი, ანუ რა? 49. ინგლისელი ჩინოვნიკი. 50. მოგრძო გაბარიტების სუბიექტი.

**ქვემოდან ზემოთ მარჯვნივ**: 56. ფილმი სილვესტერ სტალონეს მონაწილეობით. 58. გაშლილი ველი სამხრ. ამერიკის ზომიერ სარტყელში. 62. დიდი ზომების სუბიექტი. 63. სტალინის ერთ-ერთი „მეტსახელი" 65. კატასთან „დამაკავშირებელი" აკუსტიკური ეფექტი. 66. ესპანელი კომუნისტი ქალი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. 67. საფრანგეთის ისტორიული ოლქი. 70. მრავალხმოვანი ანუ როგორი? 75. საქალაქო ტრანსპორტი. 76. ჰიტლერის მიერ შექმნილი სახელმწიფო. 77. დანაშაულებრივი ელემენტები ანუ ვინ(ებ-ი)? 81. ავლაბრის ერთდროს „მგზნებარე" მეპატრონე(ებ-ი). 84. შუა აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი. 86. მუსლიმანთა პრივილეგირებული პირი. 87. მდინარე საქართველოში. 88. ციტრუსოვანი მცენარე. 89. საბიზნესო ფართი. 90. პოლიგრაფიულ-სამხატვრო ატრიბუტი.

**ზემოდან ქვემოთ**: 56. გვინეის დედაქალაქი. 57. თბილისის გარეუბანი. 59. ერთვარსკვლავიანი კაცი. 60. საუკეთესო სითბოსაიზოლაციო ნივთიერება. 61. როგორი კერძები მზადდება მორწმუნეთათვის ერთ გარკვეულ საგაზაფხულო პერიოდში? 64. შთამომავლობის მოსპობის ნებაყოფლობითი მეთოდი. 65. ინგლისელი ფილოსოფოსი-იდეალისტი (1846-1924). 68. სომხეთის რაიონული ცენტრი. 69. აქ ორი ქუთაისური სახელი ჩადის... რომელიც გნებავთ, ის ჩაწერეთ (ა, ბატონო კროს-დემოკრატია!) 71. ლიტერატურული ქმნილება. 72. ერთგვარი შიკრიკი ძველ საქართველოში. 73. ქალაქი ესტონეთში. 74. ჯეიმზ ჯოისის მრავალპლანიანი რომანი. 78. სოფლის მთავარი მაშენებელი. 79. ადამიანური გრძნობა (სულ ან თითქმის) დაკარგულ ცნებასთან მიმართებაში. 80. „ჰამლეტის" პერსონაჟი. 82. როგორია ჰიუგოს ერთი ვრცელი რომანის თითოეული პერსონაჟი? 83. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი. 84. (ზოგჯერ) უკეთური მიზნებით მოქმედი და საგანგებო მისიით აღჭურვილი პირი. 85. აზიის ჯუჯა სახელმწიფო.

# კროსვორდი — აგრესორთა ალყაში





ჩუქურთმიანი ქვა · შენი და მისი „კოლეგა" · ირაკლი ყრმობისას · ერთი ძილის პატრონი · სამნყოფრო ბრძანება · ფქვილოვანი ნახშირწყალი · გერმ. ფიზიკოსი · სოფელი ახმეტის რ-ნში · ერთი დედამიწელი · უმაღლესი თბილისელი · ქალი გაშველების „იარაღით" · საქ. რაიცენტრი · მანძილის ფრანგულ. საზომი · ბერძენი მგალობელი · დღის-ნის გიორგი · როგორი ყრმობისას · ძალთა ერთობლიობა · მუს. „ჯარისკაცი" · საძოვრის სახესხვაობა

მუცლის თვისება · სამხედრო პირი · თოვლის კაცი · „ჩიკოვანი-ტატიანი" გოგონა · ჩვენ მე-2 · მთლიანი და უნაკლო · ალეე! რას შვება მზე? · ერის დედა · სქესობრ. მომწიფება · უკეთური მოხმობა · აზიის სახელმწ. · აშშ-ური სახელი · მდინარე იტალიაში

საჰაერო წერილი · ბევრი ირემი · გამოსთან სათქმელი · კოსმოსური სახელი · სიდუხჭირე · უნაღდო ანგარიში · უკომპლექსო ანუ? · ფარის ნაწილაკი · მუს. ჯარისკაცი · თამარმა დაამარცხა · რუსების „ვაშა" · მდინარე რუსეთში · თითქმის ირინე

ძაღლის ჯიში · ლაქიათა უფროსი · ქიტა! ხომ გაგიხარდათ! · კომიკოსი იგორი · ზოგიერთი გაზი · ყოფითი თანხმობა

სინამდვილისაგან შორს მყოფი · ჩვენთან ახლოს მდებარე · ჩვენი ტბა

ტკივილის გახმოვანება · თმაფრჩხილის სალებავი · ფეხბურთელი დოდო · ყვითელი სფერო

შენობის სავიზიტო ბარათი · აზრის ჩასახვა · ასეული (საბჭ.) · სამი ნერტილი · დათას „მამა" · ერთ-ერთი გვინეა

საფლავის „სარქველი" · ან-იდან პოე-მდე · როგორია 100 კგ და მეტი წონა? · ილიას მენისქვილე · ლონდონი · სანინაალმდეგო · კუს საკუთრება ჩვენთან · ... ამოს კომენსკი

ინგლ. ვანო · ხმა ჩაწყვიტე! · განზოგადების ბოლოსართი · მოჭანდაკის ნალვანი

მეომართა სპეც. ჯგუფი · ერთ-ერთი იმპერატრიცა · ილიას ხარი

თუთაშხიასაგან არნაშველი ქალი · რა ქნა ილიას არჩილმა? · მილიარდის ფული

ლურჯა აპრილი შენს თავს მაგონებს

# სააპრილო კროშფ(ვ)ორდი






**შვეულად:**

**1**. (...წესით) რა უნდა ახასიათებდეს „კარგი ცოლის" ქმარს? **2**. რა(-ებ-ი) ჭარბობს შეყვარებულთა ურთიერთობის საწყისი ეტაპის საუბრებში? **3**. რაზე დასეირნობენ ბათუმში შეყვარებულები? **4**. საწყალი გოგიას სიყვარულის მთავარი შემწე. **5**. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა – „დაღამებულხარ, ჩემო აპრილო, წასულხარ, ჩემო ლხინო; ლამის წუხილმა .................. შემომაშველეთ ღვინო". **6**. რა(-ებ-ი) ითხზვება ხოლმე დიდი სიყვარულის შესახებ? **7**. აშშ-ელი შეყვარებულების ერთ-ერთი „საგულაო" რეგიონი აშშ-ში. **8**. ვინ აბრკოლებდა ჩხიკვი ზაქარას და (ჩხიკვი) ქეთევანის ტრფობას? **9**. გველისა და „მურმანის ეკალი" (ქალის) საერთო აკუსტიკური უნარი. **16**. რა გააჩნია ყოველ (კლასიკურ) ოპერას? **17**. ძალიან ღატაკი და არაფრისმქონე ანუ როგორი? **20**. რა ტონალობა შეიძლება დასჩემდეს უარყოფილ შეყვარებულს? **21**. ირინა ალეგროვას (თბილისში ფართოდ რეკლამირებადი) სიმღერა. **23**. შეყვარებულთა ხშირი „თავშესაფარი". **25**. არაჩვენებური თოჯინა. **27**. ალმერთებს (ის, მას) ანუ რას შვება? **29**. გარეკახეთის ერთი „გათათრებული" რეგიონი. **30**. ზოგისთვის სიყვარული თაფლია, ზოგისთვის – რა? **34**. როგორ იწყება შანდორ პეტეფის ერთი სატრფიალო ლექსი, გრიგოლ აბაშიძის თარგმნილ ვარიანტში (სამი სიტყვა)? **35**. ნაძვის ხის ნედლეული... რეზო ესაძის ინტერპრეტაციით. **36**. თანამედროვე ქართული ანეკდოტების ერთ-ერთი გმირი. **37**. ლათინური წარმოშობის სახელი ქალისა, რაც ჩვენებურად „ია"-ს ნიშნავს. **39**. „სატრფო" – ერთი ჩვენებური დიალექტის თანახმად. **41**. რას ვაკეთებ მაშინ, როცა „ღამე შინ არ შავდივარ"? (*მართლა მე არ გეგონოთ... მომღერალზე მოვახსენებთ – რედ.*). **43**. შუა სს. დიდი ფრანგი მოაზროვნე-მეცნიერი. **44**. ვინ არის ავთანდილი შეყვარებულობის და მეგობრულობის თვალსაზრისით? **46**. ანტიჰიპერტონული მედიკამენტი. **49**. დამცინავცილისმწამებლური შინაარსის პუბლიკაცია. **53**. გავაკეთოთ პერიფრაზირება – „(რალაცეები?) დაიხოცნენ, ძუძუმწოვრებს დარჩათ ქვეყანაო". **54**. ნივთიერება, რომელიც სასიცოცხლო პროცესებს წარმართავს ცოცხალ უჯრედში. **59**. რა აქვთ საერთო ფერს, ბგერას და ხასიათს? **60**. საბჭოეთის „მეპატრონე" კლასი. **61**. ელექტრული საზომი ერთეული. **65**. ღვარჭნილი ანუ როგორი? **69**. „რაინდის" ევროპული სინონიმი. **73**. როგორი პერსონაჟია იაგო? **74**. სად არის მდინარე, როცა შეყვარებულებს „ფიქრი სწვავთ მოუთმინარე"? (*უი, ლექსი გამოვიდა?! – რედ.*) **75**. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა. **76**. რა სრულდება რუსულ კინოში, პირობითი „Ы"-ს კოდირებით? **77**. როგორი კაცია საფარ-ბეგი? **78**. მხედველობითი ორგანოს გარე ნაწილი. **79**. რა ახლავს „ნაპოლეონს", თუ ის კონიაკია? **83**. სხვათა შორის, ჩვენ მკითხველისგან, ქებასთან ერთად, სხვა რამაც გვსურს მოვისმინოთ... მაინც რა? **84**. (ამ სიტყვის არგამოყენება არ ეგების!) სიყვარულის მსუბუქი ფორმა. **86**. რა ქენიო, გიორგი (მახარაშვილო! ), თუ გული ითხოვსო? **89**. (კანონი!) რა არ უნდა ჭამო სატრფიალო პაემანის წინ? **90**. ყველა ცოდვის და ტრფობის სათავე. **91**. რა ვრცელდება ხალხში (ზოგ- ჯერ თუ ხშირად) სატრფიალო ვნებათაღელვის შესახებ? **93**. „დედა ენის" ერთი უპატიოსნო პერსონაჟი.



**თარაზულად:** **10**. ბერძნულ მითოლოგიასთან „დაკავშირებული" ავტობუსი. **11**. ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი უიღბლო მიჯნური. **12**. როგორი ზრახვები შეიძლება ახასიათებდეს ე.წ. „მურმანის ეკალს"? **13**. (თუნდაც) ოთხი ტანკისტის და ძაღლის" ზოგადი სახელი. **14**. ამირანის სატრფო (არაბულად –„მთვარე"). **15**. XX ს. დასაწყისის ფსევდონიმიანი ქართველი პოეტი (სახელი და გვარი). **18**. ძვირფასი ქსოვილი. **19**. ერთგვარი წვეულება... ოღონდ არაქართული სახელით. **22**. რა შეიძლება უთხრას ამპარტავანმა ქალმა თავმდაბალ მიჯნურს (–ო!). **24**. ყველა კუბელი ქალის „საყვარელი" პიროვნება. **26**. (კიდევ) სად შეიძლება გაკეთდეს საუკეთესო ტოლმა (-ში-მეთქი!). **28**. ქართველი მწერალი ქალი, ერთობ „იზოლირებული" ფსევდონიმით. **31**. ქართული კინოს ყველაზე ცნობილი ვარლამი. **32**. ძველ თბილისში ერთგვარი „მომწოდებლური" სიტყვა (სპარსულად ნიშნავს – „გონზე მოდიო!"). **33**. „რუსი გენიოსი" (ხომ არ გეხამუშათ ეს სიტყვათშეთანხმება?) **38**. რა „პოლიტიკა" ამოძრავებს ორთაბრძოლის დამარცხებულ-დაჩაგრულ მხარეს. **40**. მრავალი ლამაზმანისათვის ერთობ გამოსადეგი ჟურნალი. **42**. რაგვარად შეიძლება გაიფლანგოს ეს ცხოვრება (-დ არ დაგავიწდეთ!). **45**. წონის ერთეული. **47**. უსაქმური ადამიანის ქუთაისური „ეპითეტი". **48**. პოემა, რომელიც ყველა პოემაზე ადრე შეიქმნა. **50**. არეულ-დარეული, აწეწილ-დაწეწილი ანუ რა? **51**. სადაური ასული იყო მედეა? **52**. სოფელი მარტვილის რაიონში. **55**. გამდინარე წყალი. **56**. 24 ოქტომბერი – 21 ნოემბერი. **57**. ერთგვარი საოკეანო ხომალდი. **58**. ნინელი ჭანკვეტაძის საყვარელი არსება ერთ „წვიმიან" ფილმში. **62**. რა არის ყველაზე მეტად მიმზიდველი ქალის რძეში ერთი ანეკდოტის თანახმად? **63**. (ერთხელაც გავიხსენოთ) რა შეიქმს სიყვარულს? **64**. საქორწინო კორტეჟების მთავარი (...ხშირად სასურველი) ავტომობილი. **66**. პიროვნება, რომელიც ლოცვასა და მოგზაურობას ერთ მანეთთან ათავსებს. **67**. საბჭოურ საქართველოში ერთ-ერთი „პრივილეგირებული" თვე. **68**. „თვითმოქმედი" მანქანა. **70**. რა აქვს ჩვენს, თქვენს (...და მათს!) ცხვირებს (-ებს მეთქი!). **71**. საქართველოს რაიონული ცენტრი. **72**. რა არის ხშირად სიყვარული მათთვის, ვისაც ჰგონიათ, რომ უყვართ? **80**. „ჩამოსულის" არაეთიკური სინონიმი. **81**. მამაკაცის სპეციფიური ფრანგული სახელი, (წოდ. ბრ). **82**. ბორბლებზე ამხედრებული სუბიექტის სახესხვაობა. **85**. „ორი ქალით" დასახლებული აშშ-ს შტატი. **87**. რა პროფესიისაა კახეთის ერთ სოფელში პროფტექნიკუმიდან დაბრუნებული ქალიშვილი? **88**. კლეოპატრას არცთუ „რიგითი" მიჯნური. **92**. საკვების გარკვეული შემადგენლობა. **94**. ქალაქი იტალიაში. **95**. როგორია ერთმანეთთან ჯინში ჩამდგარი ორი დაჯგუფება (...პარტია). **96**. რელიგიურად „დაწინაურებული" ქალი. **97**. ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გვირგვინოსანი ქალი. **98**. ქალბატონ მზია კვირიკაშვილის ერთ-ერთი საესტრადო ამპლუა.

## ...და ბოლოს

დაქალი ეკითხება დაქალს:
– მართალია, რომ შენ სამი საყვარელი გყავს?
– არა! ერთი მათგანი ჩემი საქმროა.

• • •

აღშფოთებული კაცი მიმართავს თავის საყვარელს:
– მორჩა, გათავდა, ყელში ამომივიდა ამდენი დამცირება! როდემდე უნდა ვიყო მეორე ვიოლინო შენთვის?!
– მადლობა თქვი, რომ საერთოდ გაჩერებ „ორკესტრში"!

• • •

მოკრძალებული შეყვარებული ეკითხება თავის სატრფოს:
– ჩემამდე გყავდა... ასე ვთქვათ... ისინი... ბიჭები?
– არა, ორი გოგო მყავდა და ახლა მათ დედაჩემი ზრდის

• • •

– რატომ ხარ მოწყენილი, მეგობარო, მოხდა რამე თუ?
– უჰ, ნუ მკითხავ, მეგობარო, ნუ!
– მაინც, მაინც?!
– ჩემი ცოლი გამოჯანმრთელდა და... საყვარელი გამიხდა ავად!

• • •

ქალი ეუბნება კაცს:
– მე რომ თქვენი ცოლი ვყოფილიყავი, ყავაში საწამლავს ჩაგიყრიდით!
– მე კი, თქვენი ქმარი რომ ვყოფილიყავი, იმ ყავას აუცილებლად დავლევდი.

• • •

– მიშველეთ, ექიმო, ჩემი ქმარი სულ იმას გაიძახის, ტელევიზორი ვარო.
– არა უჭირს, ამ აზრს ადვილად მოვაშორებთ.
– არა, რას ამბობთ?! მე ამისთვის არ მოვსულვარ!
– მაშ, რისთვის მოხვედით?
– თუ შეიძლება, დეციმეტრულზე დამიყენეთ.

• • •

ტრამვაიში ერთი ლოთი ავიდა; გაიხედა მარცხნივ, გაიხედა მარჯვნივ და მხოლოდ ქალები დაინახა.
– თქვენ, მარცხნივ სულელები ხართ, მარჯვნივ კი – მეძავები!
მარჯვნივ ერთი ქალი აღშფოთდა:
– როგორ ბედავთ?! მე ათი წელია გათხოვილი ვარ და ასეთი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია ჩემთვის.
– კარგი, მაშინ შენ მარცხნივ გადადი.



ი/ს „ფანტაზია", რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, № 7/1-1811
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
„300 არაგველი", გუთნის 10, ტელ. 77-64-80
წერილებისათვის – 380003, ალ.ელერდაშვილს, მოკითხვამდე